შპს სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი 07 აგვისტო 2025 წელი

# ბრძანება N 88-25

## „2025 – 2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილების, ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ“ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის რექტორის 2025 წლის 11 ივლისის N80-25 ბრძანებაში ტექნიკური ცვლილების შეტანის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.3 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „2025 – 2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილების, ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ“ სულხან-საბა ორბელიანის რექტორის 2025 წლის 11 ივლისის N80-25 ბრძანებაში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი #1-ის შესაბამისად.
2. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისთვის უმოკლეს ვადაში გაცნობა (ციცინო ხითარიშვილი).
3. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი აკაკი ჭელიძე

შპს სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი | 204426834
0186, კ. ეუთათელაძის ქ.N3, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 2422242

info@sabauni.edu.ge
www.sabauni.edu.ge

*დანართი #1*

თბილისი 11 ივლისი 2025 წ.

# ბრძანება № 80-25

## 2025 – 2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში შიდა მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილების, ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.2 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №05-23 საოქმო გადაწყვეტილებით), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ №10/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის, უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის დებულების“ 23-ე პუნქტის (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებული უნივერსიტეტის რექტორის მიერ, 2025 წლის 15 აპრილის N50-25 ბრძანებით), სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობის (N103; 10.07.25); სამართლის ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობის (N104; 11.07.25), თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობისა (N102; 10.07.25) და ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობის (N105; 11.07.24) საფუძველზე,

### ვბრძანებ:

1. განისაზღვროს 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე შიდა მობილობით ჩარიცხვისათვის ვაკანტური ადგილები შემდეგი სახით:

| № | საფეხური | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ვაკანტური ადგილების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1. | ბაკალავრიატი | ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა | 7 |
| 2. | ბაკალავრიატი | საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა | 5 |
| 3. | ბაკალავრიატი | ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა | 7 |
| 4. | ბაკალავრიატი | პოლიტიკის მეცნიერების საგანმანათლებლო პროგრამა | 5 |
| 5. | მაგისტრატურა | საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამა | 3 |
| 6. | ბაკალავრიატი | საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამა | 50 |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7. | მაგისტრატურა | ადამიანური რესურსების მართვის საგანმანათლებლო პროგრამა | 2 |
| 8. | მაგისტრატურა | ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა | 2 |
| 9. | ბაკალავრიატი | ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამა | 5 |
| 10. | ბაკალავრიატი | ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამა | 3 |
| 11. | ბაკალავრიატი | ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა | 5 |
| 12. | მაგისტრატურა | თეოლოგია | 2 |
| 13. | ბაკალავრიატი | თეოლოგია | 5 |
| 14. | მაგისტრატურა | აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოება | 3 |
| 15. | ბაკალავრიატი | სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა | 10 |
| 16. | დოქორანტურა | საჯარო მმართველობა | 2 |

2. განისაზღვროს 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის ვადები შემდეგი სახით:
   2.1. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირების საბუთების მიღება და კრედიტების აღიარება 2025 წლის 1 სექტემბრიდან - 4 სექტემბრის ჩათვლით.
   *შენიშვნა, სხვა ფაკულტეტიდან ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის რომელიმე პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში კანდიდატს დაენიშნება გასაუბრება მიმღებ კომისიასთან (6-9 სექტემბერი).*
   *დოქტორანტურის შემთხვევაში კანდიდატს დაენიშნება გასაუბრება სადოქტორო მიმღებ კომისიასთან (1 სექტემბერი-6 სექტემბერი).*
   2.2. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი პირებისათვის აღიარებული კრედიტების გაცნობა და ხელშეკრულების დადება - 2025 წლის 9-10 სექტემბერი.
   2.3. შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ ბრძანების სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის მიწოდება - არაუგვიანეს 2025 წლის 16 სექტემბრისა.
3. შიდა მობილობის პროცესში (ჩარიცხვამდე) წარმოსადგენ დოკუმენტაციად განისაზღვროს:
   ა) განცხადება მიმღები ფაკულტეტის დეკანის სახელზე;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) ასლი დედნის წარმოდგენით (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის

შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი);

გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი;

*დოქტორანტურის შემთხვევაში კანდიდატი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს:*

დოქტორანტობის კანდიდატის მიერ დარგობრივი სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობიდან შერჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატის რეკომენდაცია (შუამდგომლობა) და სადისერტაციო თემის საკუთარი ხედვა (კვლევის პროექტი), რომელიც უნდა მოიცავდეს კვლევის საგნის აქტუალურობისა და საკითხის მნიშვნელობის დასაბუთებას, ასევე, ნაშრომის სავარაუდო სათაურს, მიახლოებით სტრუქტურასა და საორიენტაციო ბიბლიოგრაფიას;

4. შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული:
   4.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი საგანი/საგნები იმ სტუდენტებისათვის, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა 2020 წელს და შემდგომ;
   4.2. საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.

   *შენიშვნა: 4.2. პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება იმ სტუდენტებზე, რომელთაც ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარეს 2020 წლამდე, ასევე იმ სტუდენტებზე, რომელთაც არ ჩაუბარებიათ საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი.*
5. ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის კანცელარიაში, ამ ბრძანების 2.1 პუნქტით განსაზღვრული სამუშაო დღეებში, ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით, 10:00-დან 17:00 საათამდე, მისამართზე: კ. ქუთათელაძის ქ. #3 .
6. დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა (ციცინო ხითარიშვილი).
7. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ბრძანების - უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**რექტორი** **აკაკი ჭელიძე**